

დამტკიცებულია საქართველოს  
მთავრობის 2013 წლის  
15 მარტის №58 დადგენილებით

**თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისიის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისია (შემდგომში - კომისია) წარმოადგენს თამბაქოს კონტროლის საკითხებში საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს.
2. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით.

**მუხლი 2. კომისიის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები**

კომისიის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

- ა) თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის შემუშავება/დახვეწის მიზნით წინადადებების მომზადება;
- ბ) „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციით (და მისი შესაბამისი ოქმებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშების მოსმენა;

გ) კომისიის ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების შედეგად შემუშავებული პროექტების, წინადადებების, დასკვნების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა;

დ) თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიით და სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების კოორდინაცია.

### **მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილება**

კომისია უფლებამოსილია:

ა) თამბაქოს კონტროლის პრობლემური საკითხების შესწავლის მიზნით, კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია და შეისწავლოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

ბ) შესწავლილი საკითხებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიმუშაოს დასკვნები და რეკომენდაციები;

გ) საჭიროების შემთხვევაში სათათბირო ხმის უფლებით სხდომაზე მოიწვიოს სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტები;

დ) ცალკეული საკითხების მომზადებისა და შემუშავების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფები.

### **მუხლი 4. კომისიის თავმჯდომარე**

კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

ბ) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

გ) ამტკიცებს კომისიის სამუშაო განრიგს.

## მუხლი 5. კომისიის ხელმძღვანელობის, დაკომპლექტებისა და მუშაობის წესი

1. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე.
2. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელიც ასახავს სხდომის დროს განხილულ ყველა საკითხსა და მიღებულ გადაწყვეტილებას. კომისიის თითოეულ წევრს უფლება აქვს მოითხოვოს კომისიის სხდომის მოწვევა, აგრეთვე თავისი მოსაზრების აღნიშვნა სხდომის ოქმში.
3. კომისიის სხდომის ოქმის შედგენასა და მოწვევის ორგანიზაციულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის სამდივნო.

## მუხლი 6. კომისიის სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის სხდომა იმართება კვარტალში ერთხელ, ხოლო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დანიშვნა განხორციელდეს საჭიროებისამებრ.
2. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
3. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
4. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.